



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-609/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ.
„ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო თანამეგობრობა“ დამკვირვებლის
რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 14 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა). ი. პ. „ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო თანამეგობრობა“ ხელმძღვანელის ალბერტ ნურბეგიანის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 14 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №5574) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ. „ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო თანამეგობრობა“ დამკვირვებლის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 23 ოქტომბრის №02-555/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - №17 რიტა აიწურაძეს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი